ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ნათია კორკოტაძე - კოლეგიის წევრი

ციცინო ცხვედიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. ჩ. /სიითი №/
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.04.2013
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 035/13
ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ა. ს. /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ს. – სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 18 აპრილს ადვოკატმა მ. ჩ. – მ საჩივრით მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ა. ს. – სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მის მიერ წლების განმავლობაში ნაწარმოებ საქმეში 2013 წლის 19 მარტს ჩაერთო ადვოკატი ა. ს., რომელიც 2013 წლის 05 აპრილის სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა და ყოველგვარი კოლეგიალური ურთიერთობის გარეშე შეუდგა პროცესზე თავისი მოვალეობის შესრულებას. ადვოკატ მ. ჩ. – ის შეფასებით, ის შეურაცხყოფილი დარჩა ადვოკატის ქმედებით და ამავე სასამართლო სხდომაზე სსსკ-ის მე-100 მუხლის საფუძველზე უარი თქვა თავისი უფლებამოსილებების შესრულებაზე და შეწვიტა აღნიშნულ დავაზე კლიენტის ინტერესების დაცვა.

1.3 საჩივრის ავტორთან საპროცესო კოლეგიის გასაუბრება შედგა 2013 წლის 29 აპრილს, რომელზეც მ. ჩ. – მ აღნიშნა, რომ ადვოკატი ა. ს. იყო სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი და შესაბამისად, მას არ გააჩნდა ის ცოდნა, რომელიც ადვოკატს ესაჭიროება სამოქალაქო საქმეზე და ამასთან არ ჰქონდა უფლება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში წარმოედგინა ნ. შ. – ს ინტერესები.

1.4 საჩივრის ავტორმა 2013 წლის 15 მაისს ეთიკის კომისიას წარმოუდგინა მეორე დამატებითი ახსნა-განმარტება, რომელშიც აღნიშნა, რომ 2013 წლის 15 მარტს ნ. შ. – ს სატელეფონო საუბრისას მართლაც განუმარტა, რომ მთავარი სხდომა იყო ჩანიშნული და ა. ს. ვერაფრით დაეხმარებოდა მას საქმის წარმოების იმ ეტაპზე, ამასთან ის არ იყო სამოქალაქო სამართლის სპეციალისტი.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან აღნიშნულ სატელეფონო საუბარში ნ. შ. - ს განუმარტა, რომ თუ იგი მის პოზიციას არ გაიზიარებდა, აღარ გააგრძელებდა მისი საქმეების წარმოებას, რადგან გააჩნდა საფუძვლიანი ეჭვი ს. – ის გავლენაზე მ. ჩ. – ის მიმართ კლიენტის დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, რაც საჩივრის ავტორის შეფასებით, ა. ს. – ს მიერ ეთიკის კომისიისთვის წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში ამ უკანასკნელის მიერ მ. ჩ. – სა და ნ. შ. – ს ურთიერთობის შესახებ მითითებული გარემოებებიდანაც ვლინდება და მეტყველებს, ჩხეიძის მიმართ ადვოკატის არაკორექტულ ქცევაზე.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, მოქალაქე ნ. შ. ადვოკატ ს. - ის საქმეში ჩართვის შემდეგ ორჯერ იყო მისული მასთან ოფისში სხვადასხვა დოკუმენტების მოთხოვნის საბაბით და ცდილობდა მის პროვოცირებას.

1.7 განხილვის კოლეგიის სხდომაზე 2014 წლის 26 მარტს საჩივრის ავტორმა დამატებით განაცხადა, რომ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე პირი ვერ იქნება ადვოკატი სამოქალაქო საქმეზე, თუმცა მიუხედავად ამისა პირველ ინსტანციაში წარმომადგენლობა შეუძლია ნებისმიერ სრულწლოვან პირს. შესაძლებელია სწორედ ეს იყო ერთ-ერთი გარემოებაც, რის გამოც ა. ს. - მა მოგებული საქმე სააპელაციო სასამართლოში წააგო. აღნიშნული ქმედებით პროფესიას მიადგება ზიანი, რადგან მართალია ადრე ყველა ადვოკატი იყო საერთო სპეციალობის და ასეთი დაყოფა არ არსებობდა, მაგრამ ვინაიდან შემდგომ მოხდა სპეციალიზაციის მიხედვით დაკვალიფიცირება და კანონმა ადვოკატებს მიანიჭა სპეციალიზაციის მიხედვით მხოლოდ შესაბამის დარგში წარმომადგენლობის უფლება, ეს ყველა ადვოკატისთვის გასათვალისწინებელია. ამასთან სამოქალაქო სამართლის სფერო უფრო მოცულობითი და რთულია, ვიდრე სისხლის სამართალი და აუცილებლად საჭიროებს მასში შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე ადვოკატის მონაწილეობას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ა. ს. - მა 2013 წლის 02 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად 2013 წლის მარტის დასაწყისში მას დაუკავშირდა ნ. შ. და გამოთქვა სურვილი, რომ იგი ჩართულიყო მის სამართლებრივ დავებზე, რომლებსაც იმ დროისთვის ადვოკატი მ. ჩ. აწარმოებდა. ადვოკატმა ნ. შ. – ს განუმარტა,

რომ მას არ ჰქონდა ადვოკატ მ. ჩ. – ის საკონტაქტო მონაცემები და სთხოვა თავად დაკავშირებოდა მ. ჩ. – ს და ეთქვა მასთან ვიზიტის თაობაზე.

2.2 ადვოკატის მითითებით, მისი თხოვნიდან რამდენიმე დღის შემდეგ ნ. შ. მივიდა მასთან და უთხრა, რომ ადვოკატ მ. ჩ. – ს არაადეკვატური რეაქცია ჰქონდა ს. – ის საქმეში ჩართვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით და მას კატეგორიულად განუცხადა, რომ იგი ს. - თან ერთად არ იმუშავებდა.

2.3 ადვოკატის განცხადებით, გარკვეული პერიოდის შემდეგ ნ. შ. მივიდა მ. ჩ. – სთან სამართლებრივ დავებზე სასაუბროდ, რა დროსაც მან ნ. შ. – ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ზემოთხსენებული შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ნ. შ. კვლავ მივიდა მ. ჩ. – სთან და მოსთხოვა მის მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, რადგან მ. ჩ. მ საკუთარი ინიციატივით შეწყვიტა კლიენტის ინტერესების დაცვა.

2.5 ადვოკატის მითითებით, საჩივრის ავტორი აპელირებს მის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის დარღვევაზე, მაგრამ კონკრეტულად არ უთითებს არცერთ პუნქტს.

2.6 ადვოკატთან საპროცესო კოლეგიის გასაუბრება შედგა 2013 წლის 24 მაისს, რომლის თანახმად ადვოკატის განცხადებით არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მასსა და ნ. შ. – ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, სადაც მითითებულია, რომ მისი ინტერესები უნდა დაეცვა რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

2.8 ადვოკატის მითითებით, მას ნ. შ. – მა მიმართა თხოვნით, დაეცვა მისი ინტერესები, ვინაიდან ეჭვი ეპარებოდა ადვოკატ მ. ჩ. – ის კომპეტენტურობაში და ამ უკანასკნელის ბრალდება, იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა ს. – მა მას კლიენტი წაართვა სრულიად უსაფუძვლოა, ვინაიდან მას მ. ჩ. – სთან ერთად უნდა დაეცვა ნ. შ. – ს ინტერესები.

2.9 ადვოკატის განმარტებით, იმის გამო, რომ მ. ჩ. – მ თავისი ინიციატივით შეწყვიტა საადვოკატო საქმიანობა ნ. შ. – ს აღნიშნულ სამართლებრივ დავებზე, ადვოკატი ა. ს. ადვოკატ ე. მ. – სთან ერთად იცავს ნ. შ. – ს ინტერესებს რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

2.10 განხილვის კოლეგიის სხდომაზე 2014 წლის 26 მარტს ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ნ. შ. – თან ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობის დაწყებისას გააფორმა რწმუნებულება წარმომადგენლობის უფლებით და ეს ხელშეკრულება წერილობითი სახით არსებობს, რასაც იგი ეთიკის კომისიაში წარმოადგენს. ამასთან ის გარემოება, რომ იგი სპეციალიზაციით სისხლის სამართლის ადვოკატია და წარმომადგენლობას ახორციელებდა სამოქალაქო სამართლებრივ დავაზე, არ შეიძლება ჩაითვალოს დარღვევად, რადგან ეს კეთდებოდა კლიენტის თხოვნით და მას ამასთან დაკავშირებით პროტესტი არ გამოუთქვამს. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებულია უფლებაზე და არა ვალდებულებაზე, შესაბამისად კანონი მხოლოდ უფლებას აძლევს ადვოკატს, რომ საადვოკატო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ შესაბამის დარგში. გარდა ამისა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს წარმომადგენლობის უფლებას პირველ ინსტანციაში. იმ შემთხვევაში თუ მოქალაქეს სურს სამოქალაქო საქმეზე სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატის მომსახურება, ადვოკატის შეფასებით, აღნიშნული პრობლემას არ წარმოადგენს და

თავისუფლად შეიძლება პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელება.

3. დისციპლინალური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2013 წლის 03 დეკემბრის გადაწყვეტილებით საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი ა. ს. ნ. შ. – ს საადვოკატო მომსახურებას სამოქალაქო საქმეზე უწევდა იმ დროს, როდესაც სისხლის სამართლის კუთხით იყო სპეციალიზირებული, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეხუთე ნაწილი: "ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატ ა. ს – სა და კლიენტს შორის არსებობდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც ადვოკატი ა. ს. ახორციელებდა წარმომადგნელობას სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წინაშე პირველი ინსტანციის სასამართლოში.

4.1.2 ადვოკატი ა. ს. ატარებს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებას მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, /სიითი №

4.1.3 სასამართლოსათვის ცნობილი იყო რომ ა. ს. წარმომადგენლობას ახორციელებდა როგორ ადვოკატი.

4.2 საქმეზე ეთიკის კომისიას არ გააჩნია სადაო გარემოებები.

4.3 მხარეთა ინტერესების დაპირისპირება შეფასებაში მდგომარეობს: საჩივრის ავტორთან კითხვების შედეგად ირკვევა, რომ მას ადვოკატ ა. ს. – სგან მიღებული აქვს მორალური ზიანი, რაც გამოწვეული ყოფილა მასთან შეუთანხმებლად და კოორდინაციის გარეშე საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში. 2012 წლის 08 დეკემბერს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილში განხორციელებული ცვლილებით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, კოდექსი არ ავალდებულებს ადვოკატს აცნობოს კოლეგას მისი კლიენტისთვის კონსულტაციის გაწევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების გაწევის დაწყების შესახებ. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ კოლეგიალობის დარღვევის საფუძვლით არ აღძრა დისციპლინური დევნა.

5. **შემაჯამებელი დასკვნა:**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. ს. – ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. **სამართლებრივი შეფასება:**

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. ს. – ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეხუთე ნაწილი: "ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

6.2 განხილვის კოლეგია სრულად იზიარებს საპროცესო კოლეგიის მოტივაციას და მიიჩნევს, რომ დადასტურებულია ადვოკატ ა. ს. – ს, როგორც არა სამოქალაქო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატის სამოქალაქო სასამართლო სამართალწარმოებაში კლიენტის წარმომადგენლობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კლიენტის სურვილი და შეკვეთა იყო, სახეზეა სულ მცირე უნებლიე საფრთხის არსებობა, რომ შესაძლებელია კლიენტის ინტერესები კვალიფიციურად არ იყოს წარმოდგენილი, რაც აისახება ადვოკატის პროფესიის ნდობაზე. სწორედ რომ მიზნობრივად და კანონით არის დაწესებული სტანდარტი იმისა, რომ ადვოკატი უფლებამოსილი იყოს ამა თუ იმ სამართალსექტორში და სასამართლოს წინაშე კვალიფიციურად წარმოადგინოს/დაიცვას კლიენტის ინტერესები. მოცემული სტანდარტი იცავს კლიენტს არაკვალიფიციური წარმომადგენლობისაგან, პროფესიული თვითნებობისაგან.

6.3 კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, თუ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით.

6.4 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს." ადვოკატმა საადვოკატო მომსახურება უნდა განახორციელოს მხოლოდ იმ მიმართულებით, რომელშიც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა, გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და არის სპეციალიზირებული. მოთხოვნებს ადვოკატისთვის ადგენს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ადგენს კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებას, ხოლო „გ" ქვეპუნქტის თანახმადაც, საადვოკატო საქმიანობის დაწყებამდე ადვოკატს უნდა გააჩნდეს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის ერთწლიანი გამოცდილება, რაც აღირიცხება ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ. „ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების იმპერატიული მოთხოვნები, მიზნად ისახავს, რომ ს.ს.ი.პ. საქართველოს

ადვოკატთა ასოციაციაში არ დაიშვას არაკვალიფიციურ პირთა გაწევრიანება, მათთვის ადვოკატის სტატუსის მინიჭება და ამით პოტენციურ კლიენტთა ინტერესების დაზიანება. საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, წარმოადგენს ერთ-ერთ მაკონტროლებელ ინსტრუმენტს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის, რათა უზრუნველყოს მისი წევრების მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების კვალიფიკაციის სტანდარტთან შესაბამისობა, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ პოტენციური კლიენტის ინტერესები დაცული იქნება კვალიფიციურად სამივე ინსტანციის სასამართლოში.

6.5 ეთიკის კომისიამ, 2011 წლის 26 აგვისტოს N030/11 გადაწყვეტილებით, ,,საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხული სპეციალიზაციის შესაბამისად. ეთიკის კომისია, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატს ანიჭებს რა კვალიფიკაციას შესაბამისი სპეციალიზაციით, ამის საფუძველზე აძლევს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებას საერთო, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის მიმართულებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიული ვალდებულების - კლიენტის ინტერესთა კვალიფიციურად დაცვის - შესრულებას, რაც კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკს ამცირებს და მინიმალურ სტანდარტს აწესებს, ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

6.6 ა. ს. არის ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით /სიითი N/. ადვოკატთა ასოციაციამ და კანონმა მას სისხლის სამართლის მიმართულებით მიანიჭა კვალიფიკაცია და ადვოკატი ვალდებულია კლიენტს, როგორც ადვოკატმა, მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით, ხოლო თუ ის მომსახურებას ახორციელებს სამოქალაქო საქმეზე, მან უნდა განუმარტოს კლიენტს, რომ მას სპეციალიზაცია მინიჭებული აქვს სისხლის მარათალში და მას, მხოლოდ როგორც წარმომადგენელს აქვს უფლება წარმოადგინოს მისი ინტერესები სამოქალაქო საქმეზე. სამოქალაქო სამართლის საქმეებზე კვალიფიკაციის არქონისას არსებობს საფრთხე, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი, რაც კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის პროფესიული ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრების შემთხვევაში ადვოკატი, რომელსაც არ აქვს მინიჭებული ლიცენზია შესაბამისი მიმართულებით, ვერ შეძლებს წარმოადგინოს საჩივრის ავტორის ინტერესები, რაც წარმოშობს სხვა ადვოკატის მოძიებისათვის და მის მიერ საქმის მომზადებისათვის დამატებითი დროისა და რესურსების ხარჯვის აუცილებლობას, რის შესახებაც კლიენტი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატმა კლიენტს მომსახურება გაუწიოს იმ სპეციალიზაციის მიხედვით, რომელშიც მინიჭებული აქვს საადვოკატო საქმიანობის ლიცენზია.

6.7 მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი არ არის კლიენტი, ადვოკატის კვალიფიციურობის შეფასებისას, განხილვის კოლეგია მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ ადვოკატს არ

ჰქონდა შესაბამის სფეროში კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა, რაც ქმნის იმის რისკს, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე–8 ნაწილით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეხუთე ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, 33–ე მუხლით, 35–ე მუხლით, 38–ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ა. ს. – ს მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ ა. ს. – ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ.№32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კომისიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კომისიის წევრი: /ციცინო ცხვედიანი/